

სს „ბოლნისის ტუფი“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

შინაარსი

სრული შემოსავლებისა ანგარიშგება	2
ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ	4
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	6
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებები და შენიშვნები	7

ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ლარი)

	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი
აქტივები		
ფულად ფულსეკვივალენტები	1,172	7,294
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	62,861	82,849
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებათა ცემულ ფულ და სახსრები		
მარგები	962,060	973,268
- მზ პროექცია	812,854	830,562
- სხვა	149,206	142,706
საინვესტიციო ქონება		
სხვა მიმდინარე აქტივები		
ბიოლოგიური აქტივები		
- თვითღირებულების მოფლთ		
- გადაფასების მოფლთ		
გუფილ		
სხვა არმატრიალური აქტივები	31,027	38,529
ძირითად საშუალებები	1,042,176	1,111,590
ინვესტიციები შეიღბილუმპანიებში		
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილბროვ ინსტრუმენტბში		
სხვა გრძელვადანი აქტივები		

სულაქტივები	2,099,296	2,213,530
-------------	-----------	-----------

ვალდებულებები

ფინანსური იჯარის ვალდებულება		
სავაჭრო ვალდებულებები	127,432	88,728
ანარიცხები		
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	18,810	18,810
საგადასახადო ვალდებულებები	8,740	13,118
გამოქვამებული შემოსავალ		
მოკლევადიან სასესხებო სახსრები	70,000	135,000
გრძელვადიან სასესხო ვალდებულებები		
მიღებულ გრანტები		
სხვა ვალდებულებები		
სულ ვალდებულებები	224,982	255,656
საკუთარიკაპიტალი		
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოპერატივის შემთხვევაში 'საპაიოკაპიტალი')	1,301,865	1,301,865
საემისიო შემოსავალი		
გამოსყიდული საკუთარი აქციები		
გაუნაწილებელ მოგება / ზარალი	53,263	136,823
გადაფხვების რეზერვი	519,186	519,186
სხვა რეზერვები		
სულ საკუთარიკაპიტალი	1,874,314	1,957,874
სულ საკუთარიკაპიტალი და ვალდებულებები	2,099,296	2,213,530

დირექტორი

მთ. ბუღალტერი

ს.ლომაძე
ს.სულაბერიძე

სრული შემოსავლების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (ლარი)

	2024	2023
ნეტოამონაგები	1,048,053	1,154,191

საქონლსაყიდვი		
მომსახურების გაწევიდან	1,048,053	1,154,191
სამშენებლობითი სამუშაოებიდან		
სხვა		

გაყიდვების თვითღირებულება	-596,696	-482,100
საწყისი მარგები		
მარგების შესყიდვა		
გადამხდელის დანახარები		
საბოლოო მარგები		
საერთო ზრდა	451,357	672,091

სხვა შემოსავალი		
დასაქმებულთა ანაზღაურება	-243,208	-244,445
ცვლილებები მოკლევადიან	-156,334	-153,434
საპროცენტო შემოსავალი:		
საპროცენტო ხარჯი:	-16,156	-18,607
იჯარის ხარჯი		
ადმინისტრაციული ხარჯები	-119,065	-90,417
საპროცენტო ხარჯები	-534,763	-506,903
საერთო ზრდა	-83,406	165,188

გაყიდვების (ხარჯი) / რევენირება:		
ფინანსური ქტვები		
მარგები		
სხვა არაფინანსური ქტვები		
წმინდა შემოსულობა / (დნაკარგი)		
სავალუტო კონვერტირება:		
მიღებული დივიდენდი		
სხვა არაფინანსური შემოსულობა / (ხარჯი)		-9,860

მოგება/(ზარალ) მოგებისგადასახადებისა და მოგებაზე დასახდებელი გადასახადების გამო	-83,406	-155,328
მოგებისგადასახად	-154	
მოგება/(ზარალ)	-83,560	155,328
ძირითადი და მუდმივი მოგებისგადასახადების ზეგანი		

დირექტორი
მთ. ბუღალტერი

(Handwritten signature)

ს.ლომაძე
ლ.სულაბერიძე

ფულადი ნაკადის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(პირდაპირი მეთოდი)
ლარი



შინაარსი	2024	2023
წმინდ ფულ დსახსრებისა და მოგებაზე დასახდებელი გადასახადების გამო	74,488	198,105
წმინდ ფულ დსახსრებისა და ინვესტიციებისა და მოგებაზე დასახდებელი გადასახადების გამო	-80,610	-218,080
წმინდ ფულ დსახსრებისა და ფინანსური სესხებისა და მოგებაზე დასახდებელი გადასახადების გამო		
წმინდ ზრდ (კლება) ფულად ფულსეკვივა ლენტებში	-6,122	-19,975
სადა ლუგ უნისეფქტ		
ფულად ფულსეკვივა ლენტები წლის დასაწყისში	7,294	27,269
ფულად ფულსეკვივა ლენტები წლის ბოლოს	1,172	7,294

დირექტორი
მთ. ბუღალტერი

(Handwritten signature)

ს.ლომაძე
ლ.სულაბერიძე



ფინანსური ანგარიშგების თანდართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

სს „ბოლნისის ტუფი“ (შემდგომში „საზოგადოება“) არის საქართველოში რეგისტრირებული სააქციო საზოგადოება, რომელიც შეიქმნა 1997 წლის 24 ოქტომბერს ბოლნისის რაიონის სასამართლოს დადაგენილებით. საზოგადოების საიდენტიფიკაციო ნომერია 225365459.

საზოგადოების იურიდიული მისამართია: საქართველო, ბოლნისის რაიონი, ს. ტალავერი.

საზოგადოების ფაქტური მისამართია: საქართველო, ბოლნისის რაიონი, ს. ტალავერი.

საზოგადოების ხმების 98,91523%-ის მფლობელი აქციონერია საერთაშორისო საკვლელო-გამოკვლევითი ფონდი ქართულს (204874421).

საზოგადოებას ჰყავს სამეთვალყურეო საბჭო თავმჯდომარისა და ორი წევრის შემადგენლობით.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ქვის მოპოვება-დამუშავება და მოპოვებული ქვით დამზადებული ნაწარმის რეალიზაცია, როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ასევე მის ფარგლებს გარეთ. საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად საზოგადოება ფლობს ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიებს.

2. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

მოზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მოზადება მოხდა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუთის (ბასის) მიერ დადგენილი და გამოქვეყნებული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. გასულ პერიოდებში კომპანია არ წარადგენდა ფინანსურ ანგარიშგებას ფასის-ების მიხედვით. მის ფასებზე გადასვლის თარიღს წარმოადგენს 2018 წლის 01 იანვარი.

ფინანსური ანგარიშგებები მოზადდა პირვანდელი ღირებულების მეთოდის გამოყენებით, საჭიროების შემთხვევაში გამოყენებული იქნება მომავალი ფულადი ნაკადების ახლანდელი (დისკონტირებული) ღირებულების მეთოდი.

ფინანსური ანგარიშგება მოზადებულია საზოგადოების საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ საზოგადოება განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

საზოგადოების საანგარიშო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 01 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

საზოგადოება ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, დარგის ტექნოლოგიური თავისებურებებს გათვალისწინებით, როდესაც გათვალისწინებულია საზოგადოების ფუნქციონირება განსაზღვრული მომავლის პირობებში.

აგრეთვე გაითვალისწინება ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წლებში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

- ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება: ვერ დგინდება ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების არსებულ ბაზარზე რეალურ ღირებულებათა დაყრდნობით. მათი ღირებულება დგინდება შეფასების სხვადასხვა ტექნიკითა და მსჯელობით.

- მირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები მირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთის/ამორტიზაციის დარიცხვისას სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელების შეფასებებზე დაყრდნობით ტექნოლოგიური თავისებურებებიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, თუ რა პერიოდშია დაგეგმილი საზოგადოებს აქტივიდან სარგებლის მიღება.
- გადასახადები საზოგადოება ცდილობს მინიმუმამდე დაიყვანოს შესაძლო საგადასახადო ჯარიმებისა და საურავების დარიცხვის რისკები. თუმცა საგადასახადო კანონმდებლობის ცალკეული მუხლების შინაარსის სხვადასხვა შესაძლო ინტერპრეტაციების არსებობა, არ გამოირიცხავს დამატებითი საგადასახადო ვალდებულების წარმოშობის ალბათობას..

სასამართლო დავები საზოგადოება აღიარებს მხოლოდ ისეთ ანარიცხებს, როცა არსებობს მხოლოდ მიმდინარე ვალდებულება ან მოთხოვნა წარმოშობილი წარსულში მომხდარი მოვლენის გამო, როცა მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის გადადემის შეფასება საიმედოდ არის შესაძლებელი. ისეთ შემთხვევაში, როცა ეს კრიტერიუმები არ კმაყოფილდება, პირობითი ვალდებულება შესაძლოა აისახოს ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში. ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისათვის კომპანია განიხილავს არსებულ სასამართლო საქმეებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) იმ მიზნით, რომ შეაფასოს ფინანსურ ანგარიშგებაში გასათვალისწინებელი აუცილებელი გარემოებები და პოტენციური მოსალოდნელი ზარალის ოდენობა, რისთვისაც ხელმძღვანელობა განიხილავს იურიდიული მრჩეველების მოსაზრებებსა და შეხედულებებს, რომელიც ეფუძნება ამგავრი საქმეების წარმოების გამოცდილებასა და ითვალისწინებს კომპანიის მენეჯმენტის დავებთან და საჩივართად დაკავშირებული საკითხების მიმართ დამოკიდებულებას.

შეფასების ვალუტა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში („ლარი“).

ფუნქციონირებადი ვალუტა

თავისი პერაქციების საზოგადოება ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. კონვერტირებადი ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციის განხორციელების დღისათვის. ამასთანავე საანგარიშო წლის ბოლო თარიღით ხდება მათი გადაფასება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. კონვერტაციის შედეგად წარმოშობილი კურსთა შორის სხვაობა აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე.

აქტივების თვითღირებულება განიარაღება აქტივების შეძენის ან შექმნის დროს გადახდილი ფულის ან ფულის ექვივალენტების ან სხვა სახის საზღაურის რეალური ღირებულების თანხით.

რეალური ღირებულება ფასდება თანხით, რომლითაც შეიძლება აქტივი გაიცვალოს ან ვალდებულება დაიფაროს საქმის მცოდნე და გარიგების მსურველ მხარეებს შორის „გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით“.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

საწარმო ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით.

ფინანსური აქტივების გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება მოიცავს ისეთ ინფორმაციებს, რომლებიც აქტივის მფლობელისთვის გახდა ცნობილი გაუფასურების გამომწვევი შემდეგი მოვლენების შესახებ, როგორიცაა:

- ხელშეკრულების პირობების დარღვევა, გადაუხდელობა, ან ვადა გადაცილება, რომელიც არ შეიძლება დაკავშირებული იყოს ანგარიშსწორების სისტემებით გამოწვეულ დაგვიანებასთან;

- მხარეს გააჩნია მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეები, რაც დასტურდება კომპანიის მიერ მოპოვებული ფინანსური ინფორმაციით;
- როდესაც მოსალოდნელია, რომ დებიტორთან დაკავშირებით დაიწყება გაკოტრების, ან სხვა სახის ფინანსური რეორგანიზაციის პროცესი;
- საზოგადოება დებიტორის ფინანსურ სიძნელეებთან დაკავშირებული ეკონომიკური ან იურიდიული მიზეზების გამო, მოველეს სთავაზობს ისეთ დათმობებს, რომლებსაც სხვა შემთხვევაში არ შესთავაზებდა;
- ობიექტური ნიშნების არსებობა, რომლებიც იმაზე მიუთითებს, რომ შემცირდა ფინანსური აქტივების ჯგუფთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადები მათი საწყისი აღიარების შემდეგ, თუმცა ამგვარი შემცირების ოდენობის განსაზღვრა ჯგუფში შემავალი ცალკეული ფინანსური აქტივისთვის ჯერჯერობით შეუძლებელია.

გაუფასურების კუთხით ერთობლივი წესით შეფასებული ფინანსური აქტივების სამომავლო

ფულადი ნაკადები განსაზღვრულია მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე აქტივებზე მიღებული ზარალის ისტორიული მონაცემების საფუძველზე. ზარალის ისტორიული მონაცემების კორექტირება ხდება არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, რათა ასახულ იქნას მიმდინარე არსებული პირობების გავლენა, რომელთაც მანამდე გავლენა არ მოუხდენიათ ზარალის ისტორიულ მონაცემებზე, და ასევე არ იქნას გათვალისწინებული გამოცდილების საფუძველზე დადგენილი ის გარემოებები, რომლებიც ამჟამად აღარ არსებობს. . სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასების მეთოდოლოგიის და დაშვებების შესწორება ხდება რეგულარულად, მოსალოდნელ და ფაქტობრივ შედეგს შორის სხვაობის შემცირების მიზნით.

გაუფასურების ზარალი ყოველთვის აღიარდება რეზერვის ანგარიშის მეშვეობით, აქტივის საბალანსო ღირებულების შემცირების მიზნით.

თუ გაუფასურების შემდგომ პერიოდში ადგილი ექნება აქტივის გაუფასურების ზარალის თანხის შემცირებას, რაც დაკავშირებული იქნება გაუფასურების აღიარების შემდგომ წარმოშობილ მოვლენასთან, საზოგადოება აღადგენს წინა პერიოდებში წარმოშობილი გაუფასურების ზარალის რეზერვის ანგარიშის კორექტირებით.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

საზოგადოება წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, თუ:

- ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია;
- კომპანია გადასცემს ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს სხვა მხარეს; ან
- მიუხედავად იმისა, რომ იტოვებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, სხვა მხარეს გადასცემს აქტივის კონტროლის უფლებას, რომელსაც გააჩნია ნებისმიერ არადაკავშირებულ მესამე მხარეზე აქტივის მთლიანად გაყიდვის პრაქტიკული შესაძლებლობა, შეუძლია ამ შესაძლებლობის გამოყენება ცალმხრივად და აქტივის გადაცემაზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების აუცილებლობის გარეშე;
- არსებითად არც გადასცემს და არც იტოვებს ყველა რისკს და გადასცემს საკუთრებას, მაგრამ არა შენარჩუნებულ კონტროლს.

კონტროლი შენარჩუნებულია, თუ კონტრაგენს არ აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა, მიჰყიდოს აქტივი დამოუკიდებელ მესამე მხარეს, ამგვარი გაყიდვის ოპერაციაზე დამატებითი შეზღუდვების არსებობის გამო.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

საზოგადოება წყვეტს ფინანსურ ვალდებულების აღიარებას, როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება იფარება, უქმდება ან ვადა გასდის. საზოგადოება დაფარულ ან სხვა მხარისათვის გადაცემულ ფინანსურ ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ კომპენსაციის თანხას შორის (ნებისმიერი გადაცემული არაფულადი აქტივებისა და აღებული ვალდებულებების ჩათვლით) სხვაობას ასახავს მოგება-ზარალში.

გადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადაფარული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არის კანონიერი უფლება, რომ აგრეგირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგენილ იქნეს ნეტო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

ფული და ფულის ექვივალენტი

ფული და ფულადი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშზე და მოთხოვნამდე საბანკო დეპოზიტებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში). ფულის ნაკადების ანალიზი ხორციელდება პირდაპირი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აისახება მოსალოდნელი შემოსულობების ღირებულების მიხედვით, საეჭვო ვალების რეზერვის გამოკლებით. მოთხოვნების წმინდა ღირებულებით ასახვისათვის ტარდება მოთხოვნების ანალიზი მათი წარმოშობის ვადების მიხედვით.

მოვალეობის უმრავლესობაზე ფინანსური მდგომარეობის შესახებ საიმედო ინფორმაციის არსებობისა და კომპანიის წარსული გამოცდილების გათვალისწინებით, სავარაუდო ზარალის შეფასება არსებითად განსხვავებული არ იქნება შემდგომში რეალური მოცულობისგან.

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება.


კომპანია ძირითად საშუალების თავდაპირველი აღიარებისას ახდენს თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს აქტივის შეძენასთან დაკავშირებულ ყველა პირდაპირ ხარჯს. თუ გადახდა გადავადებულია და საკრედიტო პერიოდი აღემატება სტანდარტულ პერიოდს, ძირითადი საშუალებების თვითღირებულება განისაზღვრება სამომავლო გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით.

თავდაპირველი აღიარების შემდგომი შეფასება ხდება თვითღირებულების მოდელით. ძირითადი საშუალებების შეძენის შემდგომი დანახარჯები ემატება ამ აქტივის ღირებულებას ან

აღიარდეს ცალკე აქტივად, თუ მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და საწარმოსათვის შესაძლებელია ამ აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

ძირითადი საშუალებებისათვის კომპანია იყენებს ცვეთის დარიცხვის წრფივ მეთოდს, რაც გულისხმობს აქტივის თვითღირებულების ან გაუფასურებული ღირებულების განაწილებას აქტივის სასარგებლო მომსახურების მთელი ვადის მანძილზე ძირითადი საშუალებების ცვეთის თანხა ნაწილდება სისტემატურ საფუძველზე, მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

დირექტორი
მთ. ბუღალტერი



ს.ლომაძე
ლ.სულაბერიძე